საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

53099-04-02-2-201905201854

N 04-02/53099
20/05/2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

„2020-2023 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №125 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ თქვენი სამინისტროს ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის პირველადი საორიენტაციო ზღვრული მოცულობა განისაზღვრა:

ათასი ლარი

2020 წლის მომუშავეთა რიცხოვნობა	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
2 667	4 250 000,0	4 500 000,0	4 750 000,0	5 000 000,0

გასათვალისწინებელია, რომ საშუალოვადიანი პერიოდისათვის არსებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის ფარგლებში დასაგეგმ პერიოდში კვლავაც უნდა შენარჩუნდეს მიმდინარე ხარჯების შეზღუდვის და საინვესტიციო პროექტებზე მიმართული სახსრების ზრდის ტენდენცია. ამასთან, 2020 წლისათვის დაგეგმილია საპენსიო გასაცემლების ზრდა და ასევე მიმდინარეობს მუშაობა განათლების სისტემის რეფორმაზე. რეფორმა მოითხოვს განათლების დაფინანსების ეტაპობრივ ზრდას და 2022 წლისთვის განათლების სისტემის დაფინანსება არ უნდა იყოს პროგნოზირებული ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ზე ნაკლები, რაც გამოიწვევს მობილიზებული რესურსების მიმართვას ზემოაღნიშნულ ღონისძიებებზე.

გამომდინარე აქედან, 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვისას მიმდინარე ხარჯების მოცულობა მიზანშეწონილია განისაზღვროს 2019 წლის მაჩვენებლების ფარგლებში, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში გაიზარდოს არაუმეტეს ინფლაციის მაჩვენებლისა. ასიგნებებისა და რიცხოვნობის პირველადი საორიენტაციო მაჩვენებლების ფარგლებში თქვენს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხილვა განხორციელდება მიმდინარე წლის ივნისში სამუშაო შეხვედრებზე. სამუშაო შეხვედრების დროს აუცილებელია წარმოდგენილ მასალებში გაიმიჯნოს მოთხოვნილი რესურსი არსებული პროგრამების და ახალი ინიციატივების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების მიხედვით.

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261412;
ელფოსტა: info@mof.ge
ვებგვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261412;
E-mail: info@mof.ge
Website: www.mof.ge

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით ასიგნებების და რიცხოვნობის საორიენტაციო მაჩვენებლების განსაზღვრა განხორციელდება ზემოაღნიშნული სამუშაო შეხვედრების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის ფარგლებში არა უგვიანეს 2019 წლის 10 ივლისისა.

გიორგი კაკაურიძე

მინისტრის მოადგილე